პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 დეკემბერი სამშაბათი 1971 წელი • კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 294 (15204)

დედამიწაზე შემოქმედებითს შრომაში საბჭოთა ადამიანების წარმატებებს ეხმიანება ჩვენი გამარჯვებანი შორეულ კოსმოსში.

ჩვენს წინ არის ორი დოკუმენტური სურათი, გადმოცემული ფოტოსატელევიზიო აპარატურით „მარს-2“ და „მარს-3“ საბჭოთა სადგურებიდან, რომლებიც ამჟამად მარსისირგვლივ ორბიტაზე ფრენენ.

პირველი ფოტო გადმოცემულია ავტომატურ სადგურ „მარს-3“-დან. ასეთი მოჩანს მარსი დაახლოებით 50 ათასი კილომეტრი მანძილიდან. მეორე სურათზე: მკაფიო ჯამოსახულება საბჭოთა კავშირის გერბისა, რომელიც მიიღეს მიწისზედა სადგურებმა კავშირგაბმულობის „დედამიწა-მარსი“-ს ფოტოსატელევიზიო სისტემის შემოწმების მსვლელობაში.

პარტიული ინფორმაცია

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეს

დოქტორ ნგუენ ჰიუ თხოს

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარეს

დოქტორ ჰიუინ ტან ფატს

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის სახელოვან წლისთავის დღეს გულწრფელად ვულოცავთ და მხურვალე ძმურ სალამს ვუძღვნით სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალურ კომიტეტს, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობასა და სამხრეთ ვიეტნამის მთელ მებრძოლ ხალხს. თერთმეტი წლის წინათ შობილი განთავისუფლების ეროვნული ფრონტი განუხრელად გამოდის როგორც სამხრეთვიეტნამელი ხალხის მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი ძალა გმირულ ბრძოლაში ამერიკელი ინტერვენტებისა და საიგონის ანტახალხური რეჟიმის წინააღმდეგ, იმ უფლებისათვის, რომ იყოს ბატონ-პატრონი თავის მიწაწყალზე.

საბჭოთა ხალხი აღტაცებით აღიარებს თვალს სამხრეთვიეტნამელი ხალხის ბრძოლას, რომელიც იჩენს მასობრივ გმირობას, თავდადებას და მტკიცედ აჭეს გადაწყვეტილი გაიმარჯვოს თავის სამართლიან საქმეში. ინტერნაციონალიზმისა და ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. სოლიდარობის ლენინური პრინციპების ერთგული სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი თანმიმდევრულად ყოველმხრივ მხარდაჭერას უწევენ ინდოჩინეთის ხალხებს იმპერიალისტი აგრესორების მოგერიებაში.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის დროებითი რევოლუციური მთავრობის შვიდპუნქტიან წინადადებებს, რაც ვიეტნამის საკითხის მოგვარების გონივრული და სამართლიანი საფუძველია. საბჭოთა ხალხი გულისწყრომით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მბართველი წრეების ფარისევლურ მანევრებს, რომლებიც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრიობა იმის მტკიცებით, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები „ამცირებდნენ ინტერვენციას ინდოჩინეთში. ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის სამხედრო ხროვას ჯერ კიდევ ხელი არ აუღია ცდებზე იარაღით გადაჭრას ინდოჩინეთის პრობლემები. მაგრამ ვერც ბომბებითა და ჭურვებით, ვერც ომის „ვიეტნამიზაციის“ უსაფაღებული პოლიტიკის საშუალებით ამერიკელმა აგრესორებმა ვერ მიაღწიეს და ვერც მიაღწევენ თავიანთ დანაშაულებრივ მიზნებს.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ნამდვილად სურს მშვიდობა, მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოუღოს ბოლო აგრესიულ ჩარევას ინდოჩინეთის ხალხთა საქმეებში, დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობის დაუთქმელად გამოიყვანოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების ჯარები, შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშრების უხეში ხელყოფა, ხელი აიღოს იმ ცდებზე, რომ სამხრეთვიეტნამელ ხალხს თავს მოახვიოს საძულველი, გამეკმეური რეჟიმი თავისი დაშქაშებისა. ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებს აქვთ კანონიერი უფლება დამოუკიდებლად გადაჭრან თავიანთი საშინაო საკითხები, უცხოთის ჩაურევლად.

გამოთქვამენ რა სოლიდარობას გმირ ვიეტნამთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობას, მთელ მომქმე სამხრეთვიეტნამელ ხალხს უსურვებენ ახალ წარმატებებს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს თავიანთ სუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ურღვევ მეგობრობასა და საბრძოლო სოლიდარობას საბჭოთა ხალხსა და ვიეტნამელ ხალხს შორის.

ლ. ბრეჟნევი — ნ. პოდგორნი — ა. კოსიგინი

ნოგათი სამშობლოს

თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეშვიდე ენერგობლოკი მწყობრში ჩადგა

ბარდაბანი, 20 დეკემბერი. (საქდისის კორ.). დღეს თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში დაიწყო მეშვიდე ენერგობლოკის გამოცდა. ენერგობლოკის სიმძლავრეა 160 ათასი კილოვატი. 72 საათის გამოცდის შემდეგ ბლოკი სამრეწველო ექსპლოატაციისათვის გადაეცემა.

ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის. მეშვიდე ენერგობლოკის ამოქმედება ელექტროსადგურის კოლექტივს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო სრულად უზრუნველყოს მომხმარებლების ელექტროენერგიით მომარაგება შემოდგომა-ზამთრის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში, აამაღლებს ამიერკავკასიის მთელი ენერგოსისტემის ექსპლოატაციის საიმედოობას.

ახალი გოლიათი, რომელიც გარდაბნის ველზე თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სხვა ექვსი ბლოკის გვერდით აღმართულა, ოთხჯერ უფრო ძლავრია, ვიდრე ზაპესი და ხუთჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლევა.

გაიხად ამოქმედდება უკანასკნელი, მერვე ენერგობლოკი და სადგურის სიმძლავრე 1.280 ათას კილოვატს მიაღწევს. ეს მეტია, ვიდრე ერთად აღებული საქართველოს ყველა მოქმედი ელექტროსადგურის სიმძლავრე.

ბლოკის მშენებლობასა და დაშონტაჟებაში თავი ისახელეს საქართველოს „ენერგოენერგომშენის“, „კავენერგომონტაჟის“, „მთავარენერგომონტაჟის“ ტრესტების სამმართველოთა კოლექტივებმა და სხვებმა. ქვაბი დამზადებულია ტაგანროგის „წითელი მექვაბის“ ქარხანაში, ტურბინა — ხარკოვის ტურბოგენერატორის ქარხანაში, გენერატორი — ლენინგრადის „ელექტრო ძალის“ ქარხანაში.

მშენებლებმა, მონტაჟიორებმა და ექსპლოატაციის მუშაკებმა თავიანთი შრომითი წარმატება ენერგეტიკოსის დღეს მიუძღვნეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განვავითაროთ შინაპარტიული დემოკრატია, განვამტკიცოთ პარტიული დისციპლინა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, საწესდებო მოთხოვნების შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების დარგში საგარეჯოს რაიონული პარტორგანიზაციის მუშაობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საგარეჯოს რაიონული პარტიული ორგანიზაცია თავის ღონისძიებებს ახმარს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, საწესდებო მოთხოვნათა შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების საფუძველზე.

პარტიულ ორგანიზაციებში დადგენილ ვადებში ეწყობა ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები, დიდი ყურადღება ეთმობა კომუნისტების მიერ დისციპლინის დაცვის, უნარავლესობის ნებისადმი მათი დაქვემდებარების. პრაქტიკულ მუშაობაში, პარტიული პოლიტიკის საკითხთა თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიის წევრთა მონაწილეობისათვის პირობების შექმნის საკითხებს.

ხორციელდება ღონისძიებანი, რათა უფრო ფართოდ სრულდებოდეს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი, უზრუნველყოფილი იყოს საჯაროობა პარტიული ორგანოების მუშაობაში და მასების ინფორმირება.

ამ ბოლო დროს პარტიის რაიკომის პლენუმებსა და ბიუროებზე, პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროებისა და პარტკომების სხდომებზე უფრო მეტად განხილულენ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის, ეკონომიკის, კულტურის, მშრომელთა ყოფა-ცხოვრების, დასვენების აქტუალურ საკითხებს. ამ საკითხების მომზადებასა და განხილვაში, გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მათ რეალიზაციაში მონაწილეობენ არჩევითი, აქტივი და რიგითი კომუნისტები.

შეამცირა რა სხდომებისა და თათბირების რიცხვი, პარტიის რაიკომმა გააძლიერა ადგილობრივი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, სისტემატურად აუმჯობესებს მათ სტრუქტურას, კომუნისტთა განაწილებას, მეტ დახმარებას უწევს კადრებს პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტაში და ამით აღწევს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ზრდას, სახელმწიფოსათვის მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმის შესრულებას, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამასთანავე აღნიშნა, რომ საგარეჯოს რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონე შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, წესდების შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში ჯერ კიდევ მოლიანად არ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს.

პარტიული ორგანიზაციებში კომუნისტთა საწევრო ჯერ კიდევ ჩაბმული არ არის აქტიურ პარტიულ მუშაობაში, გადაწყვეტილებებთა კოლექტიურ შეგუშავებასა და მათ შესრულებაში. პარტიის ზოგიერთ წევრსა და წევრობის კანდიდატს არა აქვს პარტიული დავალებები ან ცუდად ასრულებს მათ. ისინი დიდხანს არ გამოდიან კრებებზე, არღვევენ საწესდებო მოთხოვნებს, მთელი ენერგიით არ შრომობენ საზოგადოებრივ წარმოებაში. პარტიული ორგანოები ყოველთვის მუშაობენ კომუნისტებთა მიერ პასუხობის, ეულ-გრილობისა და უდისციპლინობის გამოვლინების ფაქტებს.

ამ ბოლო დროს პარტიის რაიკომმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა შეასუსტეს ყურადღება პარტიაში მიღებისადმი, ასალაზრდა კომუნისტთა აღზრდისადმი, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების თვისებრივი შემადგენლობისადმი. შეასაჩუქეს შემცირდა მუშათა, კოლმეურნეთა, კომკავშირელთა, ქალთა რიცხვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საკითხთა თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიის წევრთა მონაწილეობისათვის პირობების შექმნის საკითხებს.

ხორციელდება ღონისძიებანი, რათა უფრო ფართოდ სრულდებოდეს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი, უზრუნველყოფილი იყოს საჯაროობა პარტიული ორგანოების მუშაობაში და მასების ინფორმირება.

ამ ბოლო დროს პარტიის რაიკომის პლენუმებსა და ბიუროებზე, პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროებისა და პარტკომების სხდომებზე უფრო მეტად განხილულენ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის, ეკონომიკის, კულტურის, მშრომელთა ყოფა-ცხოვრების, დასვენების აქტუალურ საკითხებს. ამ საკითხების მომზადებასა და განხილვაში, გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მათ რეალიზაციაში მონაწილეობენ არჩევითი, აქტივი და რიგითი კომუნისტები.

შეამცირა რა სხდომებისა და თათბირების რიცხვი, პარტიის რაიკომმა გააძლიერა ადგილობრივი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, სისტემატურად აუმჯობესებს მათ სტრუქტურას, კომუნისტთა განაწილებას, მეტ დახმარებას უწევს კადრებს პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტაში და ამით აღწევს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ზრდას, სახელმწიფოსათვის მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმის შესრულებას, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამასთანავე აღნიშნა, რომ საგარეჯოს რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონე შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, წესდების შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში ჯერ კიდევ მოლიანად არ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს.

ჯერ კიდევ დიდი პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე განხილულ საკითხთა რაოდენობა, მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებიც არ მოითხოვენ კოლექტიურ განხილვას და სპეციალური ვადაწყვეტილების მიღებას. ამასთან პარტიის რაიკომში და, განსაკუთრებით პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, საკვლად იმისა, რომ შუდმივი ყურადღება დაუთმონ ეკონომიკის განვითარების, შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენების, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის, შინაპარტიული ცხოვრების, ადამიანთა აღზრდისა და სხვა ძირეულ პრობლემებს, ხშირად დიდ ღონისძიებებს ამბარენ ნაკლებმნიშვნელოვანი, ერთფეროვანი საკითხების მომზადებასა და განხილვას.

1970-1971 წლებში რაიკომის ბიუროზე განიხილეს რაიკომსა და სამეურნეო-ფინანსურ მეურნეობის საამართველოს მიერ შეტანილი 50-ზე მეტი საკითხი, რომლებიც ძირითადად მიმდინარე საოპერაციო-სამეურნეო საქმიანობას შეეხებოდა. ფართოდ არის დანერგილი აგრეთვე რაიკომის ბიუროსა და რაიაღმასკომის ერთობლივ დადგენილებათა მიღება სამეურნეო საკითხებზე. ამ საკითხებზე მიღებულ დადგენილებებში ხშირად ზერელედ არის გაშუქებული პარტიული ორგანიზაციების როლი დასახული ამოცანების გადაწყვეტაში, ჯეროვნად არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო საკითხები, არ არის კონკრეტულობა, და ეს მნიშვნელოვნად ამცირებს მათს ეფექტიანობას.

დიდძალი მიმდინარე სამეურნეო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ასეთი პოზიციებიდან არსებითად იწვევს წარილმან მეურვეობას საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოებისადმი, ასუსტებს მათ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის.

მთელ რიგ შემთხვევებში ნაჩქარევად და ღრმა ანალიზის გარეშე ამზადებენ რაიკომის ბიუროს სხდომებზე, პარტიულ კრებებსა და პარტბიუროთა სხდომებზე განსახილველ საკითხებს. რაიკომის ბიუროს წევრებს წინასწარ არ უგზავნიან ბიუროს დღის წესრიგსა და დადგენილებათა პროექტებს. პარტიულ კრებებზე საკითხთა განხილვისას ყოველთვის როდი მიმდინარეობს საქმიანი, პრინციპული ბჭობა. კამათის მონაწილე ბევრი კომუნისტისგან გამოდის თვითანგარიშით, ზოგადად, უფერულად ლაპარაკობს ნაკლოვანებებზე.

კომუნისტების აქტივობას ის აფერხებს, რომ პარტიის რაიკომში და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა კომუნისტთა წინადადებებისა და შენიშვნების რეგულარულად განზოგადებისა და შესწავლის და მათზე რეაგირების მწყობრი სისტემა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების ხარვეზები ამის ოქვენენ, რომ სამეურნეო საქმიანობასა და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები ნაწილ აღმოიფხვრება. სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე მოლიანად როდი ავენებენ შინაგან რეზერვებს. ბევრი საწარმო და კოლმეურნეობა სისტემატურად ვერ ასრულებს პროდუქციის წარმოების გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს, განიცდის დიდ ფინანსურ სიძნელეებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის ბიუროსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, მთელი თავიანთი მუშაობა აგონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა სრული შესაბამისობით და დაუქვემდებარონ მას სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულება.

რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან განაწყვიტონ ერთ სრულყონ თავიანთი საქმიანობის სტილი, ფორმები და მეთოდები, უზრუნველყონ მინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის უხუცესად დაცვა, პარტიის ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის მაქსიმალური ჩაბმა პარტიულ მუშაობაში, გააქტიურონ რიგითი კომუნისტები — მუშები და კოლმეურნეები. ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნების შესრულებისათვის, მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმათ, ვინც არღვევს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, თავისი საქციელით არცხვენს პარტიის წევრის სამატიო სახელს.

საჭიროა დაუცხრომლად ააღლონ რაიონული კომიტეტის პლენუმებისა და ბიუროს სხდომებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების, ბიუროების, პარტიული კომიტეტების სხდომების როლი, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მათ მოშუამდებასა და ჩაჭარებაში, განიხილონ მათზე მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც მოითხოვენ კოლექტიურ განხილვას, უზრუნველყონ კომუნისტთა უფრო ქმედითი მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო გაშლის საფუძველზე საჭიროა დაუცხრომლად ეცადონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და საქმის გაუმჯობესებას ყველა უბანზე, მომთხოვნელობით, გულმოდგინედ მიუდგნენ კომუნისტების საქმიანობისა და თავიანთი მუშაობის შედეგების შეფასებას.

საჭიროა მოვაგვაროთ მუშაობა იმისათვის, რომ რეგულარულად განვაზოგადოთ, შევისწავლოთ და გამოვიხმაუროთ კომუნისტების, ყველა მშრომელის წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, ყოველნაირად ხელი შეეწყოს ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი, ეფექტიანობის ამაღლებისა, ეკონომიის, ეფექტიანობის, ეფექტიანობის, ეფექტიანობ

მლეთელი მწყემსი, სოციალისტური შრომის გმირი შარამან გაგაძე.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში!

ეს დღეები ნოლაეთში

მწყემსთა ვალდებულებები

მეჯი გატკანი, მატყლი...

ახლოვდება ახალი, 1972 წელი და მწყემსის გონებაში ხაახლწლო ფიქრები იბადება: რითი შევხვდები ახალ წელს, როგორია ჩვენი სურვილები მომავალ წელს? მინდა მოკლედ მოგახსენოთ: წლეულს გულნატკენი არ დავრჩენილვართ არც ნამატის გაზრდაში და არც მატყლის მოღებაში, მე პირადად ჩემს ფარაში ყოველ 100 ნერბზე 106 ჯანსაღი ბატკანი გავზარდე და თვითეულ ცხვარს ნაცვლად 2,4 კილოგრამისა, 2,8 კილოგრამი მატყლი გავპარსე. ეს ცუდი მაჩვენებელი როდია.

უკეთესი მაჩვენებლები უნდა მოვიპოვოთ მომავალ წელს. ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ მოწინავე მწყემსებს ვ. ჭუშაშვილს, გ. გელაძეს, ვ. სეთურიძეს, რომ იტყვიან, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანო, სწორედ ასეა ჩვენი საქმე, მიზნის მისაღწევად არაფერი არ გვაკლია, ნოლაეთში შესანიშნავი ამინდებია, ბალახი საუკეთესო, განწყობილება მშვენიერი.

ნ. ძაგთარაშვილი,

ყაზბეგის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფარის უფროსი მწყემსი.

უკანასკნელ წლებში ჩვენთან — ნოლაეთის საძოვრებზე განსაკუთრებით გაუმჯობესდა მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო პირობები. ამ საქმეში ბევრი გაკეთდა, მაგრამ მიღწეული ზღვარი არ არის, მომავალშიც ბევრს ვიზრუნებთ, რომ თვითეული მწყემსი ზამთრის საძოვრებზე ისე გრძნობდეს თავს, როგორც საკუთარ სახლში.

აშენდა საცხოვრებელი ბინები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მწყემსების კულტურულ მომსახურებას.

ჩვენ ახლა ვემზადებით დოლისათვის. პირობას ვდებთ არ დავკარგოთ არც ერთი ცხვარი, არც ერთი ბატკანი. ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ ლარგვისის კოლმეურნეობის მეცხვარეები და სრული იმედი გვაქვს ერთმანეთის დახმარებით გამარჯვებასაც მივაღწევთ.

დ. ბერიანიძე,

ლენინგორის რაიონის დადიანეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე.

ფასანაურის კოლმეურნეობა მოწინავეა დუშეთის რაიონში, წლის ბოლოს გეგმით უნდა გვყავდეს 11.100 ცხვარი, ამჟამად, გვყავს 14 ათასზე მეტი, ყოველ 100 ნერბზე გავზარდეთ 93 ბატკანი, გეგმა კი 80 ითვალისწინებდა, თვითეულ მოსრეული ცხვარზე გავპარსეთ 2,8 კილოგრამი მატყლი ნაცვლად 2,3 კილოგრამისა. ეს წარმატებანი მოპოვებულია ჩვენი მამაცი მწყემსების, პირველ რიგში კომუნისტების თავდადებული შრომით, მაგალითად, კომუნისტმა მწყემსმა გ. გვრიტიშვილმა ყოველ 100 ნერბზე 97 ბატკანი გაზარდა. ეს მაჩვენებელი ჩვენი რაიონისათვის სარეკორდოა,

ნათქვამია, შეჯიბრება ძმათა შორისო, და ჩვენც ვეჯიბრებით ერთმანეთს — მწყემსი მწყემს, ფარა ფარას, ბრიგადა ბრიგადას. ახლა კოლმეურნეობაში ვერ იპოვნით ისეთ მწყემსს, რომელიც თავდადებით არ იბრძოდეს ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით განაღდებისათვის.

მ. ტარიელაშვილი,

დუშეთის რაიონის ფასანაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ნაყოფიერი შრომა და დასვენება

გაჭირვების ტალკვესი

ბაჯიგანის მასივში ყველა იცნობს შალვა ბუჯიაშვილს, რომელიც ცეკავშირის საცალო ვაჭრობის მაღაზიას განაგებს. როცა სავაჭროში შეხვალთ, გაგაკვირვებთ საქონლის მრავალფეროვნება და სიმრავლე, სისუფთავე და გამყიდველის თავაზიანობა.

შალვა რამდენიმე წელიწადია, რაც თიანეთის რაიონის მწყემსებს ემსახურება და ჯერ საყვედური არავის უთქვამს. რომ იტყვიან, გაჭირვების ტალკვეხაო, სწორედ მასზეა ნათქვამი. ბევრჯერ მსმენია მეცხვარეებისაგან: შალვა ყველაფერში გამოსადეგი კაცია, ჭირშიც და ლხინშიც. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ უკიდეგანო ტრამვალებში შრომა და ცხოვრება ათასნაირ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ასეთ პირობებში საჭიროა განსაკუთრებული გულისხმიერება და საქმის ერთგულება.

შალვა ბუჯიაშვილი ყურადღებით ეკიდება მწყემსთა ყოველ თხოვნას და მათს სურვილებს. მაღაზიაში მისულ მეცხვარეს ყოველთვის შეუძლია შეიძინოს საჭირო საქონელი, მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როცა სასურველი ნივთი მაღაზიაში არ არის. ასეთ დროს შალვა 120 კილომეტრს გაივლის, კოჩუბეიში ცენტრალურ საწყობს მიაკითხავს და იმდენს ეცდება, რომ მომხმარებელს თხოვნა შეუსრულოს.

ჩვენი მწყემსური მადლობა დახლის დირსეულ მუშაკს!

შ. სისაური,

თიანეთის რაიონის მეცხვარეობის საკოლმეურნეობთაშორისო ფერმის გამგე.

მწყემსის მეგობარი

კასპიისპირეთში, ნამდვილ ოაზისს ჰგავს საავადმყოფოს კარმიდამო, რომელიც პირველი ფერმის ტერიტორიაზეა გაშლილი. მაღალი ღობეები აქაურობას რომ ამშვენებს, დარგულია საავადმყოფოს მთავარი ექიმის ამირან შუბლაძის ხელით. ამირანმა შორეულ ბაჯიგანში, უშუალოდ მწყემსებთან ათეული წელიწადზე მეტი გაატარა და თავისი დიდი გულისხმიერებით საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. სიკვდილის შემდეგ ამაგდარ ექიმს საავადმყოფოს ეზოში მეგობარმა მენაგეობეებმა პატარა ობელისკი აუგეს.

ასევე დიდი ხანი ემსახურა ქართველ მწყემსებს ექიმი ჩაღი ჩოხელი, რომელსაც ბევრი ავადმყოფი მწყემსი გადაურჩენია სიკვდილისაგან.

გავიდა წლები... სამწუხაროდ, ბაჯიგანზე რამდენიმე წელიწადია ექიმი აღარ არის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააუქმა ბაჯიგანის საავადმყოფო, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა. ახლა მწყემსები იძულებულნი არიან ავადმყოფობის დროს კოჩუბეის საავადმყოფოს მიმართონ, რომელიც აქედან ას ოცი კილომეტრით არის დაშორებული.

მწყემსები მოითხოვენ საავადმყოფოს აღდგენას მორიულ ბაჯიგანზე.

ლ. აფციაური,

დუშეთის რაიონის მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი.

როდის ააშენებენ?

კოჩუბეიში არსებობს კულტურის სახლი, რომელიც ქართველ მწყემსებს ემსახურება. სამსახურს ვამბობთ, თორემ რაღა სამსახურია, როცა კულტსახლის შენობა დანგრევის პირასაა მისული და მასში შესვლა საშიშიც არის.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, კარგა ხანია გადაწყდა ამჟნდეს კულტურის ახალი სახლის თანამედროვე შენობა, ამისათვის კოჩუბეიში ნაკვეთიც კი გამოუყვეს, არსებობს შენობის პროექტი და სხვა დოკუმენტაცია, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გამოუძებნიათ სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ხორცს შეასხამდა არქიტექტორთა ჩანაფიქრს.

იმედია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო მწყემსთათვის საჭირო საქმეს მოავალებს, ხოლო კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი საშუალებას მოგვცემს თვეში ერთხელ მაინც ვნახოთ კინოსურათი. ერთ წელზე მეტია ჩვენთან კინოფილმები არ უჩვენებიათ.

ნ. ბერიანიძე,

ლენინგორის რაიონის დადიანეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადირი.

სანამ დოლი დაიწყებოდეს

ოქტომბერი თვე, და დაიწყება დოლი — „მოსავლის აღება“ მეცხვარეობაში. თვითეულმა მწყემსმა კარგად იცის, ცხვრის სულადობის ზრდისათვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს დოლის წარმატებით ჩატარებას — ჯანსაღი ნამატის მიღებას და მთლიანად შენარჩუნებას.

უნარიანი, ჯანმრთელი ნამატის მისაღებად ზრუნვა უნდა დავიწყოთ ნერბვის პერიოდშივე. როგორც სადედე, ისე მწარმოებელთა სულადობა შერჩეულ და ზოოტექნიკურად შემოწმებულ უნდა იქნას დროულად, მაკეობის მთელ პერიოდში პიროტყვი უნდა იღებდეს ნორმით გთვალისწინებულ ულუფას.

მოგებამდე 20-25 დღით ადრე ფარა თბილ სადგომში უნდა გადავიყვანოთ და მოვარიდოთ დამპალ, დაობებულ და გაყინულ საკვებს, ცივი წყლით დარწყულებას, ჭირნალან საძოვრებზე გაშვებას.

დოლის წინ საჭიროა შევაკეთოთ ნერბისა და ახალშობილის სადგომები, მოვამზადოთ და დავათუნოთ კორაკნები, ამასთან სადგომები უნდა დავასუფთაოთ და მიგ დეზინფექცია ჩავატაროთ.

ჩვენი რესპუბლიკის შიგნით მომთაბარე რაიონების მწყემსები ბატკნის წოვებას აწარმოებენ ვასარდვლით. ნოლაეთის საძოვრებზე კი ეს მეთოდი არ გამოდგება, რადგან თებერვალ-მარტში საკმაოდ ყინავს, ამიტომ უკეთესია ბაკში წოვება. თუ მცნობარი არა გვყავს, დედისა და ბატკნის ამოცნობის მიზნით საჭიროა მოგებისთანავე დედას და შვილს ნომერი გაუკეთდეს.

ბატკნის პირველი მოწოვებისა და ნომრის გაკეთების შემდეგ თბილ ამინდში ბატკანი უნდა მოთავსდეს დედასთან ერთად ბაკში. ცივ ამინდში — საჩვილეში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნერბი ბატკანს არ აწოვებს, უნდა მოვთავსოთ კორაკანში. აუცილებელია ბატკანმა დღეში ორჯერ მაინც მოწოვოს.

ჯანსაღი ნამატის გაზრდისათვის საჭიროა ბატკანი დავიცვათ გაცივებისა და დაავადებისაგან. ამისათვის საჭიროა, აგრეთვე საბატკნე უნდა იყოს მშრალი, თბილი, დაცული იყოს გამკრავი ქარისაგან. ბატკნის ქვეშსაფენად უნდა გამოვიყენოთ ხორბლის ნამჯა, რასაც ყოველ 3-4 დღეში უნდა ვცვლიდეთ.

ახალშობილთა დაავადების, ან სიკვდილის შემთხვევაში მწყემსი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ვეტერინარ ექიმს.

ერთი თვის შემდეგ ნამატი უნდა დაისვროს, ცალკე გადაირჩეს მწარმოებლად ვარგისი საჭირო რაოდენობის მამალი ბატკანი.

ამ ასაკში დაკოდვა ხელსაყრელია, რადგან მოზარდი კარგად იტანს ოპერაციას და წამლეულ ნივთიერებათა ხარჯვაც ნაკლებია.

ბატკანი დედასთან ერთად უნდა იმყოფებოდეს და წოვდეს ოთხ თვემდე, შემდეგ უნდა გაცალკევდეს, ფარები ცალცალკე შეიკრას სქესის მიხედვით და გაიგზავნოს მაღალმთიან კარგ საძოვრებზე.

გ. არაბული,

კოჩუბეის ვეტლაბორატორიის დირექტორი.

სპეციალისტთა კეთილი საქმე

ოქტომბერი თვე, და დაიწყება დოლი — „მოსავლის აღება“ მეცხვარეობაში. თვითეულმა მწყემსმა კარგად იცის, ცხვრის სულადობის ზრდისათვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს დოლის წარმატებით ჩატარებას — ჯანსაღი ნამატის მიღებას და მთლიანად შენარჩუნებას.

უნარიანი, ჯანმრთელი ნამატის მისაღებად ზრუნვა უნდა დავიწყოთ ნერბვის პერიოდშივე. როგორც სადედე, ისე მწარმოებელთა სულადობა შერჩეულ და ზოოტექნიკურად შემოწმებულ უნდა იქნას დროულად, მაკეობის მთელ პერიოდში პიროტყვი უნდა იღებდეს ნორმით გთვალისწინებულ ულუფას.

მოგებამდე 20-25 დღით ადრე ფარა თბილ სადგომში უნდა გადავიყვანოთ და მოვარიდოთ დამპალ, დაობებულ და გაყინულ საკვებს, ცივი წყლით დარწყულებას, ჭირნალან საძოვრებზე გაშვებას.

დოლის წინ საჭიროა შევაკეთოთ ნერბისა და ახალშობილის სადგომები, მოვამზადოთ და დავათუნოთ კორაკნები, ამასთან სადგომები უნდა დავასუფთაოთ და მიგ დეზინფექცია ჩავატაროთ.

ჩვენი რესპუბლიკის შიგნით მომთაბარე რაიონების მწყემსები ბატკნის წოვებას აწარმოებენ ვასარდვლით. ნოლაეთის საძოვრებზე კი ეს მეთოდი არ გამოდგება, რადგან თებერვალ-მარტში საკმაოდ ყინავს, ამიტომ უკეთესია ბაკში წოვება. თუ მცნობარი არა გვყავს, დედისა და ბატკნის ამოცნობის მიზნით საჭიროა მოგებისთანავე დედას და შვილს ნომერი გაუკეთდეს.

ბატკნის პირველი მოწოვებისა და ნომრის გაკეთების შემდეგ თბილ ამინდში ბატკანი უნდა მოთავსდეს დედასთან ერთად ბაკში. ცივ ამინდში — საჩვილეში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნერბი ბატკანს არ აწოვებს, უნდა მოვთავსოთ კორაკანში. აუცილებელია ბატკანმა დღეში ორჯერ მაინც მოწოვოს.

ჯანსაღი ნამატის გაზრდისათვის საჭიროა ბატკანი დავიცვათ გაცივებისა და დაავადებისაგან. ამისათვის საჭიროა, აგრეთვე საბატკნე უნდა იყოს მშრალი, თბილი, დაცული იყოს გამკრავი ქარისაგან. ბატკნის ქვეშსაფენად

სალამო ხანია, ბინდი ჩამოწვა. ბაჯიგანზე პირველი მომთაბარე ვეტპუნქტის შენობაში თანდათან იწყეს მოსვლა ჯოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვეტსპეციალისტებმა. ყველანი ანალგაზრდები არიან. იმ საღამოს უნდა გამართულიყო თათბირი, რომელიც განიხილავდა საშემოდგომო ვეტღონისძიებების დროზე ჩატარების საკითხს.

— პირველად ყუთურის საწინააღმდეგო გაბანებით დავიწყებთ, შემდეგ ფასცელოზზე დავამუშავებთ, ამას მოჰყვება თოსლის დამუშავება დიქტიოკაულოზზე, ბოლოს კი ბრატზოტზე აცრით დავამთავრებთ, — უთხრა მომთბარე ვეტპუნქტის გამგეს ვეტერინარმა თ. თეთრუაშვილმა, თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა, ყველაფერი მოკლედ და ნათლად ითქვა.

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, და მართლაც ასე მოხდა. მეორე დღეს ყველგან გაჩაღდა მუშაობა, მეურნეობათა სპეციალისტების დასახმარებლად სპეციალური მივლინებით ნოლაეთში ჩამოვიდნენ ვეტტექნიკები ე. კაიშაური, ა. ბერიაშვილი, ვ. წამალაძე ო. ბენდელიანი და სხვები.

პირველი დღეები აბაზანებით დაიწყო, ამინდიც კარგი დაგვიდგა. სწრაფად ბანდებოდა ცხვარი ყუთურის საწინააღმდეგოდ.

შემოქმედებითი შრომა იყო გაჩაღებული აგრეთვე ბირუსაკის მასივზე, მეცამეტე ასაკეცვზე და ნოლაეთის ყველა უბანზე. კარგად იმუშავეს ფასანაურის, მთიულეთისა და ჭართლის სპეციალისტებმა, მათ შორის ფასანაურის კოლმეურნეობის ვეტერინარმა თ. ნადიბაიძემ, მათ მიაყვა მთიულეთის კოლმეურნეობის ვეტექიმი თ. თათარაშვილი. აქეამად ჩვენი რაიონის ყველა ფერმაში ცხვრის საშემოდგომო დამუშავება დამთავრებულია. აუცერეს 170 ათას ცხვარს.

170 ათასი ცხვარი! ადვილი სათქმელია. სათითაოდ აცრა ადამიანისაგან მოითხოვს მძიმე გარჯას.

თუ ერთი წუთით დავფიქრდებით და ანალიზს გავუკეთებთ ვეტსპეციალისტთა შრომას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ვეტერინარულ ღონისძიებათა ეფექტურ და დროულად განხორციელებას დიდი ეკონომიური სარგებლობა მოაქვს.

მოვიყვანთ ასეთ მაგალითს, თვითეული ცხვრის აცრა ფასცეციოლოზზე 3-4 კაპიკი ჯდება, ე. ი. ათასი ცხვრის აცრა ჯდება 30-40 მანეთი, ხოლო თუ ამ ღონისძიებას არ გავატარებთ, შესაძლებელია ყოველი ათასი ცხვრიდან 200-300 და მეტი გაწყდეს. ამას გარდა, შეიძლება პირტაყვის დიდი ნაწილი დაკანდაგდეს და ცოცხალი წონა დაკარგოს. ამ შემთხვევაში მარტო ცხვრის გაწყდომით გამოწვეული ზარალი ყოველ ათას ცხვარზე 9 ათას მანეთს შეადგენს. გამოდის, რომ 40 მანეთის სარჯით თავიდან ვიცილებთ 9.000 მანეთ ზარალს.

ჩვენ, ახალგაზრდა ვეტერინარები, პირობას ვიძლევთ, რომ ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ფეცხვარეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ჯ. კერესელიძე,

დუშეთის რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის მთავარი ვეტექიმი.

დუშეთის რაიონის ანანურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადირი ვასილ წიკლაური.



ყაზბეგის რაიონის ხიონის კოლმეურნეობის ცხვრის ფარებში მონდომებით შრომობს ოთხი ძმა ლუდუშაური. ამ სურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი მათგანი ბერმან ლუდუშაური.

დუშეთის რაიონის ჭართლის კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსი გოგი შალაშვილი.

ფოტოები ირ. წიკლაურისა.

მთეგს ფეფიცულნი

დილაადრიან იღვიძებენ მთები — ცხვარ-მეცხვარეთა ხალაღობლები, იღვიძებენ და თოვლის ფიფქებდაყრილი მწვერვალებიდან პირველ მზის სხივებს ესვრიან ქვიტკირის ორსართულიანი სახლის აივნიდან გადმომდგარ ოთხმოცი წლის მოხუცს ნატო ლუდუშაურს, რომელმაც ოთხი ვაჟი შობა, გაზარდა, დაავაჟკაცა და საგზური მისცა კოლმეურნეობაში სამუშაოდ. ახლა უფროსი ვაჟი ვასო 39 წლისაა, გოგა — 36, გერმანი — 33, ფშაველას კი ამ შემოდგომაზე 29 წელი შეუსრულდა. ამავდარი დედა ყოველდღე თვითეული შვილის მზეჩაღვრილ კარმიდამოს უმზერს, დიდი მადლიერებით იხსენიებს პარტიასა და მთავრობას, ვინც მის შვილებს ბედნიერი ცხოვრება მოუტანა.

აკი ნატოს ბევრჯერ გულახდილად უთქვამს მეზობლებისათვის: მე და ჩემს მეუღლეს რამდენი ტანჯვა და სიდუხჭირე გადაგვიტანია. ნეტავი ახლა ის ცოცხალი ყოფილიყო, თავისი თვალით ენახა თავისი ვაჟკაცების სიმდიდრე და სილამაზე. ოთხივე შვილმა ოთხი ახალი საცხოვრებელი სახლი აიშენა. დაამშვენეს ძვირფასი ავეჯით, რადიომიმღებსაც უსმენენ და ტელევიზორშიც ნახულობენ ჩვენი ქვეყნის ამბებს. პიანინოსაც უკრავენ მათი შვილები, კარგადაც სწავლობენ, შეეტყვე, რომ მსუბუქი მანქანების ყიდვასაც აპირებენ.

გული სიხარულით გევსებათ, როცა ოთხ ძმა ხიონელებს ალაღებზე თუ კასპიისპირეთში უყურეთ „ოთხი ქარავნებს“ ადევნებულებს.

ყაზბეგის რაიონის ხიონის კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს რომ ჰკითხოთ, კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსებისა და ფარის სარქლებთან ერთად პირველ რიგში ძმებს — ლუდუშაურებს დაგისახელებენ. რომლებმაც ცხვრის მოვლა-პატრონობის საქმეში სახელი გაითქვეს და ხაამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან ახალ, 1972 წელს.

გერმანი კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირია. მომდინარე წელს ყოველ 100 სულ ნერბზე 98 ბატკანი მიიღო და შეინარჩუნა, თვითეულ ცხვარზე ნაცვლად გეგმით გთვალისწინებული 2,4 კილოგრამისა, 2,7 კილოგრამი მატყლი გაპარსა. ამ ბრიგადამ სახელმწიფოს მიჰყიდა 7 ტონა ხორცი, 2 ტონა მატყლი და დიდძალი სხვა ნედლეული. ამ დღეებში კასპიისპირეთში შეეხვედით გერმანს. მისი ბრიგადის 2.291 სული ცხვარი ზღვისპირეთის სავარგულებზე ბალახობდა. კმაყოფილი იყო გერმანი ალაღებიდან კასპიისპირეთში მგზავრობით.

— 600 კილომეტრი ცხვრის გადარეკვის ტრასა ისე გამოვიარეთ, რომ თიკნის ყური არ დაგვკლებია, — ამაყად გვითხრა გერმანმა.

— ალბათ აქ დიდხანს გააჩერებთ ფარებს?

— დეკემბრის ბოლო რიცხვებში ჩვენ ბინებში, ეს კი საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ ზამთრის საძოვრები, უხეში და კომბინირებული საკვები, — მიპასუხა გერმანმა.

— ხად გყვანან ძმები — გოგა, ფშაველა და ვასო?

— აქვე ახლოს, კოლმეურნეობის ცხვარში არიან, ფარებს სარქლობენ, ხვავსა და ბარაქას უმატებენ კოლმეურნეობას.

გოგა, ფშაველა და ვასო წლების მანძილზე ასრულებდნენ კოლმეურნეობის ბრიგადირის მაღალ წოდებას. მათ ხელში ათასობით სული ბატკანი გაიზარდა, ათეულათასობით ცენტნერი მატყლი და ხორცი იქნა წარმოებული. დღეს კი თავიანთი კეთილშობილური ხელობა ახალგაზრდებს გადაულოცეს და მათ სანიმუშოდ ასწავლიან ცხვრის მოშენებას.

ხიონის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. წელს 22.661 სული ცხვარი გადარეკა ხაზამთრო საძოვრებზე. აწარმოვა და სახელმწიფოს მიჰყიდა 1.400 ცენტნერი ხორცი, 503 ცენტნერი მატყლი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. ამ წარმატებების მოპოვებაში მეცხვარე ძმების ლუდუშაურების წვლილიც არის. მათი ალალი შრომით კოლმეურნეობაში მრავლდება ცხვარი, იზრდება და უფრო ლამაზი ხდება სოფელი.

ნ. ჩქარეული,

ყაზბეგის რაიონული გაზეთის „დარიალის“ რედაქტორის მოადგილე.

აი, ვის უნდა ვბაძავდეთ

უდიდესი პროფესორი

ამ კაცის სახელი თითქმის ყველამ იცის ქართლის მთიანეთში. მისი თავდადებისა და ვაჟკაცობის ამბავსა დიდი ხანია ფრთები შეესხა და გადასცდა კავკასიონის ქედს. სახელგანთქმული მლეთელი მწყემსი ყარამან გაგაძე სასურველი სტუმარია ხევში, ოსეთში, ქისტეთში, დაღესტანში.

ათი წლის წინათ ყარამანი „მთების ქვეყნის“ გულში — გუნიბის რაიონში იყო სტუმრად, და სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ძმურ მეგობრობას, რომელიც მას დაღესტნელ მეცხვარე იბრაგიმ ბაჯი ალიევთან აკავშირებს, ორი სახელოვანი ვაჟკაცი ასლაც ერთმანეთს ეჯიბრება უკეთესი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში.

ოცდათუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ყარამანი ზამთარ-ზაფხულ ცხვარშია. ვინ მოთვლის, მწყემსური ცხოვრების რამდენი სიფათი, რამდენი გაჭირვება გადაუტანია ამ ოცდათუთმეტი წლის მანძილზე, მართლაც რომ ბეერი უხდია ნაბადსა, ავი დარი და დარია... მაგრამ ყარამანს არასოდეს ცხვრისათვის არ უღალატნია, საერთო-საძმო საქმის ერთგულ ვაჟკაცს ამხანაგებისა და ხალხის წინაშე თავი არ შეურცხვენია.

დიდ ილიას უთქვამს, საყვარელი კაცისა ყველაფერი უნდა ვიცოდეო. ამიტომაც მინდა ყარამანის ცხოვრების ამბავი მისი ბავშვობიდან დავიწყო. ის ჯერ კიდევ თითის ტოლა ბიჭი იყო, როცა ცხვარში წაიყვანეს, წინ მამა მიუძღოდა, რომელსაც მხარზე მამაპაპისეული ფიჩკავი გაედო და თავზე მთელი ცხვრის ტყავი ეხურა, ძნელი იყო თასმასავით დახვეულ ბილიკზე სიარული, მაგრამ ბიჭი არ წუწუნებდა. თანდათანობით ასლოვდებოდა ღობისას ზურგი და ამავე დროს პატარავდებოდა მშობლიური სოფელი, რომელიც ქვემოთ, ღრმა ხეობაში დარჩა. იქვე მჭეარტლიან ქოხში იყო საყვარელი დედა, რომელსაც ალბათ ყველაზე უფრო ენანებოდა პატარა ყარამანი. შორიდან შედამ მჩქეფარე არაგვი თითქოს დამუნჯებულიყო, აღარ ისმოდა მისი გაუთავებელი ღრიალი. სოფლიდან ნიავს მხოლოდ ძაღლების ყეფა მოჰქონდა.

საოცარი სიჩუმე იდგა მთაში, რომელიც ბავშვს თავიდანვე მოეწონა. ღობისას ფერდობები ცხვრისა და ძროხის გაშლილი სუფრა იყო. გულს მოხდა მწყემსის სტვირის დუდუნი და მოიალაფთა მხიარული გადაძახილი. მალე ყარამანმა თავისი ტოლებიც იპოვნა და მათთან თამამით გაერთო. ერთი სიტყვით, ცხვარში ყოფნა არც ისე ძნელი მოეჩვენა ახალგაზდა მეცხვარეს. მაგრამ სულ სხვა იყო ბუნების მრისხანების დროს, როცა შავი ღრუბლები ჩაყლაპავდნენ მზეს და ჭიქა-ჭუსლი ათასი ზარბაზანივით ქუხდა და მისი ექო გადადიოდა მთიდან მთაზე, ხევიდან ხევში. ანდა, როცა გადაუღებელი წვიმა ნაბადში ატანდა, ძნელი იყო უკუნეთ დამეებში ცხვრის ყარაული. ნადირს ხომ ბნელი ღამე უყვარს, დათვისა და მგლის მოლოდინში ბავშვს შიშისაგან აკანკალებდა, თუმცა შიშს არ აძლევდნენდა, რცხვენოდა უფროსებისა, მით უმეტეს როცა მამა გვერდით ჰყავდა, რომლის მოხერვი დუნიაზე არავინ ეგულებოდა. მაგრამ დედის ალერსი და შშობლიური ენის სითბო მაინც ენატრებოდა. რა ექნა, ცხვარს მოვლა უნდოდა.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წელს. მერე ყარამანი თოთხმეტი წლისა რომ გახდა, მამამ ასალი ქალმები ამოუსხა, ცხვრის ტყავის ქუდი შეუკერა და საზეიმოდ ასალბედა მეცხვრის პაპისეული ჯომბალი გადაულოცა.

შემოდგომის წვიმიან დღეს ბავშვი მამასთან ერთად პირველად გაპყვა კოლმეურნეობის ცხვარს შორეულ ნოლაეთში. ეს იყო ოცდათუთმეტი წლის წინათ. მას შემდეგ ყარამანს ხელიდან კომბალი არ გაუგდია, შრომაში დაეჯაკაცდა, ფოლადივით გამოიწრთო და სისხლსა და ძვალში ის თვისებები გაუჯდა, ურომლისოდაც მწყემსს მწყემსობა არ შეუძლია. ყველას როდი ძალუძს, ზამთარ-ზაფხულ, თოვლსა და წვიმაში გარეთ ყოფნა, როცა მწყემსს ღეიბ-საბანი სველი მიწა და ღრუბლიანი ცა. კარგია, ზაფხულის ღამეს მლეთის მთის თეოზე ცხვარი რომ მშვიდად მიეყრება, გარშემო ნიავი აბა იძერის. ასეთ დროს ბეერჯერ გულადმა წოლილა ყარამანი... აგერ ვარსკვლავი მოწყდა და ცაზე წამით ნათელი ზოლი დატოვა. ნეტავ ვისი იყო ის ვარსკვლავი? რომელია ჩემი? იქნებ ის არის, ნეფისკალოს რომ დასცქერის? — უფიქრია ყარამანს და პასუხი ვერ უპოვნია.

ბავშვობასა და ჭაბუკობაში უბრალო მწყემსი როგორ წარმოიდგენდა, რომ გაივლიდა წლები და ისიც იპოვნიდა თავის ვარსკვლავს. მხოლოდ ცაზე კი არა!

ყარამანი ახლა თავისი საქმის აკადემიკოსი და პროფესორია, რომელსაც მხოლოდ დიპლომი არა აქვს, ზეპირად იცის ცხვრის მოვლა-პატრონობის ანი და ბანი. ის არის ნერბის გინეკოლოგი და ბატკნის ძიძა. თავის გაზრდილ ცხვარს დასაკლავად ვერ გაიმეტებს, თუ სადმე მის ფარას სხვისი ცხვარი გაერია წლებიც რომ გავიდეს, იმ ცხვრების ბატკნის ძოძებნის და დაკარგულს დაბრუნებას... „უდიპლომო პროფესორი“ მშვენივრად კითხულობს ნოლაეთის თვალუწვდენელ ველებს, სადაც შეეჩვეველი კაცი უსათუოდ დაიბნევა, რადგან გარშემო ერთ უბრალო ხეს და რაიმე სხვა ნიშანსაც ვერ იპოვნიან. ყარამანმა თავისი ხუთი თითივით იცის კავკასიონის მთების ყველა გზა და ბილიკი.

მეტისმეტად თავმდაბალი და უთქმელი კაცია ყარამანი, ასლახან ბაჯიგანზე ძლივს ვთქმეთვინე ორიოდე სიტყვა. აი ამ საუბრის ჩანაწერი:

— პირველად ცხოლში რომ წამოყვანეს, თავჩრობანი ბალღებს მსუქან ხორცსა და ზვნიანს არ გვაჭმევდა, აწყენთო. გვაძალებდა მხოლოდ ატრიას. საქმეს კი ბევრს გვაძლევდნენ. ერთხელ ჩვენებურმა შიო ნაზღაიძემ დატუქსა მწყემსები, საქმეს რო სთხოვთ ბალღებს, საქმელს მაინც ნუ დააკლებთო. ამისათვის შიო ბალღოლომისას ფერდობები ცხვრისა და ძროხის გაშლილი სუფრა იყო. გულს მოხდა მწყემსის სტვირის დუდუნი და მოიალაფთა მხიარული გადაძახილი. მალე ყარამანმა თავისი ტოლებიც იპოვნა და მათთან თამამით გაერთო. ერთი სიტყვით, ცხვარში ყოფნა არც ისე ძნელი მოეჩვენა ახალგაზდა მეცხვარეს. მაგრამ სულ სხვა იყო ბუნების მრისხანების დროს, როცა შავი ღრუბლები ჩაყლაპავდნენ მზეს და ჭიქა-ჭუსლი ათასი ზარბაზანივით ქუხდა და მისი ექო გადადიოდა მთიდან მთაზე, ხევიდან ხევში. ანდა, როცა გადაუღებელი წვიმა ნაბადში ატანდა, ძნელი იყო უკუნეთ დამეებში ცხვრის ყარაული. ნადირს ხომ ბნელი ღამე უყვარს, დათვისა და მგლის მოლოდინში ბავშვს შიშისაგან აკანკალებდა, თუმცა შიშს არ აძლევდნენდა, რცხვენოდა უფროსებისა, მით უმეტეს როცა მამა გვერდით ჰყავდა, რომლის მოხერვი დუნიაზე არავინ ეგულებოდა. მაგრამ დედის ალერსი და შშობლიური ენის სითბო მაინც ენატრებოდა. რა ექნა, ცხვარს მოვლა უნდოდა.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წელს. მერე ყარამანი თოთხმეტი წლისა რომ გახდა, მამამ ასალი ქალმები ამოუსხა, ცხვრის ტყავის ქუდი შეუკერა და საზეიმოდ ასალბედა მეცხვრის პაპისეული ჯომბალი გადაულოცა.

შემოდგომის წვიმიან დღეს ბავშვი მამასთან ერთად პირველად გაპყვა კოლმეურნეობის ცხვარს შორეულ ნოლაეთში. ეს იყო ოცდათუთმეტი წლის წინათ. მას შემდეგ ყარამანს ხელიდან კომბალი არ გაუგდია, შრომაში დაეჯაკაცდა, ფოლადივით გამოიწრთო და სისხლსა და ძვალში ის თვისებები გაუჯდა, ურომლისოდაც მწყემსს მწყემსობა არ შეუძლია. ყველას როდი ძალუძს, ზამთარ-ზაფხულ, თოვლსა და წვიმაში გარეთ ყოფნა, როცა მწყემსს ღეიბ-საბანი სველი მიწა და ბიდანვე შეგვიყვარდა მე და ჩემს

ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲘᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲑᲓᲣᲠᲐᲰᲛᲐᲜ ᲐᲚ-ᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲯᲔᲑ

ᲔᲚᲝᲥᲕᲘᲠ ᲓᲦᲔ

ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲒᲝᲜᲘᲙᲐ

ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ ᲐᲚᲐᲣᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

20 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ისტერიისა და მუჭარის კამპანია გააჩაღა კუბის წინააღმდეგ, წერს გაზეთი „გრანმა“ მოწონაფე სტატიაში იმის გამო, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა განცხადება კუბის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ გემების „ლაილ ექსპრესისა“ და „ჯონი ექსპრესის“ დაკავებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ეს გემები პანამის ალმით მეკობრეობდნენ კუბის წინააღმდეგ.

კუბელი ხალხი, ხაზგასმულია სტატიაში, სავსებით უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „მზად არის განახორციელოს ყველა ღონისძიება“ კუბის წინააღმდეგ, თითქოსდა „ამერიკელ მოქალაქეთა და ზღვების თავისუფლების დასაცავად“.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, — აღნიშნავს „გრანმა“, — რომელიც შთამაგონებელი და ორგანიზატორია ურიცხვი მეკობრული აქტისა და სხვა დანაშაულებისა კუბის წინააღმდეგ, არა აქვს მორალური უფლება ახორციელებდეს რაიმე ღონისძიებებს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოკალათებული კუბელი კონტრრევოლუციონერების კუთვნილი გემების დაკავებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ამ გემებით არაერთგზის გაუბაზვნიათ კუბაში იარაღი და თავიანთი აგენტები.

სწორედ კუბა იყო თავდასხმებისა და დივერსიების ობიექტი, რომლებსაც სისტემატურად ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამერიკის შეერთებული შტატებიდან. სწორედ კუბის თეზისაქერი გემები არაერთგზის დაუკავებიათ ამერიკელებს საერთაშორისო წყლებში, — ნათქვამია სტატიაში.

კუბა არ ემუქრება ნაოსნობის თავისუფლებას კარიბის ზღვაში, აღნიშნულია შემდეგ სტატიაში, რესპუბლიკა იცავს მხოლოდ თავის ტერიტორიას, თავის სუვერენიტეტს და თავის მოქალაქეთა უშიშროებას, რომელსაც განუწყვეტლივ უქმნიან საფრთხეს ამერიკის იმპერიალიზმი და კუბის კონტრრევოლუციური ნაძირალები.

კუბელ ხალხს ვერ დააშინებს ამერიკის მთავრობის მხრივ ძალის დემონსტრაცია, წერს „გრანმა“. კუბა მტკიცედ დაიცავს თავის უფლებებს და რევოლუციურ მოსპოვრებს. და საჭიროების შემთხვევებში საკადრისი პასუხი რომ გასცეს პროვოკატორებს, დაასკვნის „გრანმა“, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული.

ᲡᲘᲛᲝᲚᲝᲓ

● **ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲚᲐ** კომუნიკე იმის შესახებ, რომ უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის ე. ფოკის მოწვევით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ეგზეს თავმჯდომარე ჯ. ბიედიჩი.

● **ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ** ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 26-ე სესიაზე დამთავრდა დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის საკითხის განხილვა. პლენარულ სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ წერილობითი კენჭისყრის მოუწყობლად მოიწონა რეზოლუციის პროექტი 28 საკითხზე, რომლის თანავტორია სოციალისტური და განვითარებადი 27 ქვეყანა.

● **ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ** ანვარ სადათის თავმჯდომარეობით გაიმართა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა. საბჭომ განიხილა სამხედრო მინისტრის მუჰამედ სადეკის მოხსენება ეგვიპტე-ისრაელისა და სირია-ისრაელს ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

● **ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ** რადიო იუწყება, რომ დაახლოებით 1.500 პოლიტიკური პატიმარი გათავისუფლეს უკანასკნელ დროს დაკის, ჯესორის, კუშტიისა და აღმოსავლეთ პაკისტანის სხვა ქალაქების საპყრობილეებიდან.

● **ᲒᲠᲘᲜᲕᲘᲩᲨᲘ** გაიმართა ამერიკელ ბიზნესმენთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ამერიკა-ჩინეთის ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები ამერიკის 70-მდე სავაჭრო და საფინანსო კომპანიისა, რომლებიც ინტერესს იჩენენ ჩინეთის ბაზრებისადმი. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ბეჭრმა ორატორმა წამოაყენა, საჭიროდ მიიჩნევს „მაქსიმალურად გაასაიდუმლონ სავაჭრო მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან“.

● **18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა ვინფუს პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკული თვითმფრინავი. ამრიგად ამერიკელებმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაკარგეს 3.408 თვითმფრინავი.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ — ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

20 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვიეტნამელი ხალხი აღნიშნავს სახელოვან თარიღს თავისი პატრიოტული ბრძოლის ისტორიაში — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის 11 წლისთავს.

ამ დღეებში საზეიმოდ გამოიყურება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი. ჰანოის ქალაქები მორთულია ლამპრი ტრანსპარანტებით, ალმებით, პლაკატებით.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდა მრავალი სტუმარი — განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, ვიეტნამის ეროვნული დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების კავშირის დელეგაციები, სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა პოლიტიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების შენობაში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა.

მიტინგი გახსნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ლე თხან ნგომ, რომელიც მზურვალედ მიესალმა სამხრეთვიეტნამელ სტუმრებს და აღნიშნა უდიდესი გამარჯვებანი, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამის არმიამ და ხალხმა მოიპოვეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელობით.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაურს ნგუენ ვან ნგოს. მან განაცხადა, რომ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს სამხრეთის განთავისუფლების საქმისათვის, სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

ფრონტის წლისთავს დღეს თავიანთ მასალებს უძღვნიან ჰანოის რადიო და პრესა. მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი, წერს დღეს მოწონავე სტატიაში გაზეთი „ნიან ზანი“, ამაყობს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის სახელოვანი საქმეებით. მტკიცედ გვწამს, რომ განთავისუფლების ეროვნული ფრონტი მთლიანად შეასრულებს თავის წმიდათა წმიდა ისტორიულ მისიას.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲛᲘᲦ�წᲔᲣᲚᲘᲐ, ᲓᲘᲜᲐᲚᲝᲓᲔᲑᲗᲐᲜᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲑᲝᲖᲐᲜᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ

20 დეკემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა დასავლეთის 10 წამყვანი ქვეყნის ფინანსთა მინისტრების მოლაპარაკება, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში. მოლაპარაკება მიეძღვნა კაპიტალისტური სამყაროს ახლანდელი სავალუტო-საფინანსო კრიზისის ლიკვიდაციის გზების ძიებას.

ამერიკის შეერთებული შტატების და ამერიკის ცხრა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორის ფინანსთა მინისტრების დაძაბული დისკუსიის შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძირითადი მომენტია ამერიკული დოლარის დევალვაცია 7,89 პროცენტით. ეს დოლარის პირველი დევალვაციაა 1933 წლის შემდეგ.

„ათთა ჯგუფის“ თათბირზე მიღებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები თანახმაა წარუდგინოს კონგრესს დოლარის დევალვაციის შესაბამისი ღონისძიებანი“. ამის პასუხად სხვა ქვეყნების მინისტრებმა „მიაღწიეს შეთანხმებას თავიანთი ვალუტების საანგარიშსწორებო კურსის თანაფარდობის შესახებ“, რაც ფაქტიურად ნიშნავს დათმობას ვაშინგტონის იმ მოთხოვნის. მიმართ, რომ მისმა სავაჭრო პარტნორობამ მოახდინონ ვალუტების დამთავრების შემდეგ ვერმანის ფუდერაციული რესპუბლიკის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრმა კ. შილერმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ შეიცვალა ზოგიერთი ქვეყნის ვალუტების კურსი. კერძოდ, დასავლეთგერმანული მარკა რევალვირებული იქნება 4,61 პროცენტით, იაპონური იენი — 16,88 პროცენტით. რევალვაცია ეხება აგრეთვე შვეიცარულ ფრანკს, ბელგიურ ფრანკს და მთელ რიგ სხვა ვალუტებს. უცვლელი რჩება მხოლოდ ფრანგული ფრანკი და ინგლისური ვირვანქა სტერლინგი.

ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყო აგრეთვე გაეუქმებინა საქონლის იმპორტის დამატებითი 10-პროცენტიანი გადასახადი და მთელი რიგი სხვა დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებიც შემოიღო 15 აგვისტოს „საგანგებო“ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას. როგორც ცნობილია, ვაშინგტონის ამ ღონისძიებებმა დიდი პროტესტები გამოიწვია დასავლეთის ქვეყნებში, რომელთა აზრით ეს ღონისძიებანი სხვა არა არის რა, თუ არა ამერიკის ცდა თავისი სავაჭრო პარტნიორების ხარჯზე დაიწიოს თავი ეკონომიურ სიძნელეებს.

შეთანხმება, რომელიც „ათთა ჯგუფმა“ მიიღო კაპიტალისტურ სავალუტო-საფინანსო სფეროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში შემავალი მეტი წილი ქვეყნების ზურგს უკან, არსებითად იმის ცდაა, რომ გამონახონ რადაც ახალი საფუძველი გაკოტრებული სისტემის ნაცვლად, რომელიც 1944 წელს შეიქმნა.

რაც შეეხება დოლარის დევალვაციას, იგი ლახვარს სცემს არა მარტო ამერიკის პრესტიჟს, არამედ გამოხატავს ამერიკული ეკონომიკისა და ვაჭრობის მთელი სტრუქტურის ღრმა კრიზისულ მოვლენებს, რომლებსაც ამძიმებს უზომო სამხედრო ხარჯები, მზარდი ინფლაცია, საგანგაშო ხელო ბალანსის დეფიციტი, რომელიც სულ უფრო მატულობს.

„ათთა ჯგუფის“ შეთანხმება მოწმობს აგრეთვე ძალთა ახალ თანაფარდობას კაპიტალისტური სამყაროს მეტოქეთა კონკურენციულ ბრძოლაში.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (საკდესი). ამერიკის პრესა, რომელიც აანალიზებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის მიმართ, ასკვნის, რომ ვაშინგტონის პოლიტიკა დამარცხდა. მთავრობის მიერ აღებულ კურსს, აღნიშნავს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, მოჰყვა ის, რომ „სერიოზული ლახვარი ჩაეცა ამერიკის პოზიციებს სამხრეთ აზიაში“. პაკისტანში კრიზისისა და ინდოეთისა და პაკისტანის კონფლიქტის დაწყებისთანავე, წერს გაზეთი ამერიკის მთავრობამ მხარი დაუჭირა პაკისტანის სამხედრო რეჟიმს, რომელიც ახორციელებდა „მასობრივ რეპრესიებს, რაც გამოიხატა ასეულ ათასობით აღმოსავლეთპაკისტანელის დაღუპვით. ამ მასობრივმა რეპრესიებმა 10 მილიონი კაცი აიძულა გაქცეულიყო მეზობელ ინდოეთში“.

დადგა რა პაკისტანის მხარეზე, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“, ამერიკის მთავრობა ახორციელებდა „არარეალისტურ სტრატეგიას“ და „წინასწარ იყო განწყობილი ინდოეთის წინააღმდეგ იმ დროს, როცა შეგვიძლია უნდა მოეხდინა პაკისტანზე“, რათა დაეთანხმებინა მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებაზე.

გაზეთი აკრიტიკებს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში გ. კისინჯერს, რომელიც „განუწყვეტლივ აცხადებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას უნდა ახასიათებდეს მკაცრი მიდგომა ინდოეთისადმი“ და რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიზანია დახმარება გაუწიოს პაკისტანს“.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ არ წყდება ანტისაომარი გამოსვლები, რომლებშიც მონაწილეობენ ამერიკელ როგორც ვეტერანები, ასევე ამერიკის არმიის ჯარისკაცებიც. ამას წინათ კალიფორნიაში ალამედეს საზღვაო ბაზის შესასვლელთან გაიმართა იმ მეზღვაურთა დაცვის დემონსტრაცია, რომლებიც უარს ამბობენ დაბრუნდნენ ვიეტნამში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ალამედეს დემონსტრაციის მონაწილენი.

ფოტო „პიპლს უორლდ“ — საკდესისა.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ — ᲡᲐᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲡᲘ

20 დეკემბერი. (საკდესი). მადრიდის სამხედრო ტრიბუნალში მიმდინარეობს ახალი სასამართლო ფარსი. განსასჯელის სკამზეა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ლუსიო ლობატო. ასამართლებენ ადამიანს, რომლის ერთადერთი დანაშაული ის, არის, რომ კომუნისტია.

ლუსიო ლობატომ 21 წელი გაატარა საპატიმროს დილეგებში. ორჯერ გამუტანა მას განაჩენი სამხედრო ტრიბუნალმა. მაგრამ საპატიმრომ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა.

პროკურორმა მოითხოვა, რომ ლუსიო ლობატოს მიესაჯოს 18 წლის პატიმრობა.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ — ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲑᲝᲖᲐᲜᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ

20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პაკისტანის რადიო იუწყება, იაჰია ხანმა დღეს პაკისტანის პრეზიდენტისა და მთავარი სამხედრო ადმინისტრატორის მოვალეობა გადასცა პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს ზ. ა. ბხუტოს. გენერალი იაჰია ხანი, რომელიც დღემდე პრეზიდენტისა და მთავარი სამხედრო ადმინისტრატორის ფუნქციებს ასრულებდა, იძულებული იყო გადამდგარიყო.

ამ ბოლო დღეებში რავალპინდში, ლაჰორში, პეშავარსა და დასავლეთ პაკისტანის სხვა ქალაქებში გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, რომლებიც მიმდინარეობდა ლოზუნგით „ძირს იაჰია ხანი“ ეს დემონსტრაციები მოაწყვეს პაკისტანის მემარჯვენე პარტიებმა, აგრეთვე ბ/.უტოს მეთაურობით პაკისტანის სახალხო პარტიამ, რომლებიც, ისევე როგორც იაჰია ხანი, მბარს უჭერდნენ ინდოეთთან სომარ კონფლიქტს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲡ

20 დეკემბერი. (საკდესი). ფორტ-მიდის (მერილენდის შტატი) სამხედრო ტრიბუნალმა მთლიანად გაამართლა პოლკოვნიკი ო. ჰენდერსონი — ამერიკის მე-11 ბრიგადის ყოფილი მეთაური, რომლის ქვეგანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ვიეტნამის სოფელ სონგმის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში 1968 წლის მარტში.

ჰენდერსონი ყველაზე უმაღლესი წოდებისა და უკანასკნელია იმ ოფიცერთა შორის, რომლებიც სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს გადასცეს სონგმის ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობისთ ვ ის. ასეულის მეთაური, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა სადამსჯელო ექსპედიციაში, კაპიტანი მედინა გაამართლეს, და მხოლოდ ოცეულის მეთაურს, ლეიტენანტ კოლის მიუსაჯეს პატიმრობა.

სონგმის ტრაგედიაში დამნაშავე მეტი წილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების საქმეები სულაც არ გადაუციათ სამხედრო ტრიბუნალისათვის. ამრიგად საგამსჯელო ექსპედიციის ინიციატორები და მონაწილენი დაუსჯელი დარჩნენ, ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთების მიუხედავად.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ — ᲡᲐᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲡᲘ

20 დეკემბერი. (საკდესი). მადრიდის სამხედრო ტრიბუნალში მიმდინარეობს ახალი სასამართლო ფარსი. განსასჯელის სკამზეა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ლუსიო ლობატო. ასამართლებენ ადამიანს, რომლის ერთადერთი დანაშაული ის, არის, რომ კომუნისტია.

ლუსიო ლობატომ 21 წელი გაატარა საპატიმროს დილეგებში. ორჯერ გამუტანა მას განაჩენი სამხედრო ტრიბუნალმა. მაგრამ საპატიმრომ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა.

პროკურორმა მოითხოვა, რომ ლუსიო ლობატოს მიესაჯოს 18 წლის პატიმრობა.

ᲛᲔᲥᲘᲡᲘᲙᲝ — ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

20 დეკემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა დასავლეთის 10 წამყვანი ქვეყნის ფინანსთა მინისტრების მოლაპარაკება, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში. მოლაპარაკება მიეძღვნა კაპიტალისტური სამყაროს ახლანდელი სავალუტო-საფინანსო კრიზისის ლიკვიდაციის გზების ძიებას.

ამერიკის შეერთებული შტატების და ამერიკის ცხრა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორის ფინანსთა მინისტრების დაძაბული დისკუსიის შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძირითადი მომენტია ამერიკული დოლარის დევალვაცია 7,89 პროცენტით. ეს დოლარის პირველი დევალვაციაა 1933 წლის შემდეგ.

„ათთა ჯგუფის“ თათბირზე მიღებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები თანახმაა წარუდგინოს კონგრესს დოლარის დევალვაციის შესაბამისი ღონისძიებანი“. ამის პასუხად სხვა ქვეყნების მინისტრებმა „მიაღწიეს შეთანხმებას თავიანთი ვალუტების საანგარიშსწორებო კურსის თანაფარდობის შესახებ“, რაც ფაქტიურად ნიშნავს დათმობას ვაშინგტონის იმ მოთხოვნის. მიმართ, რომ მისმა სავაჭრო პარტნორობამ მოახდინონ ვალუტების დამთავრების შემდეგ ვერმანის ფუდერაციული რესპუბლიკის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრმა კ. შილერმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ შეიცვალა ზოგიერთი ქვეყნის ვალუტების კურსი. კერძოდ, დასავლეთგერმანული მარკა რევალვირებული იქნება 4,61 პროცენტით, იაპონური იენი — 16,88 პროცენტით. რევალვაცია ეხება აგრეთვე შვეიცარულ ფრანკს, ბელგიურ ფრანკს და მთელ რიგ სხვა ვალუტებს. უცვლელი რჩება მხოლოდ ფრანგული ფრანკი და ინგლისური ვირვანქა სტერლინგი.

ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყო აგრეთვე გაეუქმებინა საქონლის იმპორტის დამატებითი 10-პროცენტიანი გადასახადი და მთელი რიგი სხვა დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებიც შემოიღო 15 აგვისტოს „საგანგებო“ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას. როგორც ცნობილია, ვაშინგტონის ამ ღონისძიებებმა დიდი პროტესტები გამოიწვია დასავლეთის ქვეყნებში, რომელთა აზრით ეს ღონისძიებანი სხვა არა არის რა, თუ არა ამერიკის ცდა თავისი სავაჭრო პარტნიორების ხარჯზე დაიწიოს თავი ეკონომიურ სიძნელეებს.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲑᲓᲣᲠᲐᲰᲛᲐᲜ ᲐᲚ-ᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

20 დეკემბერი. (საკდესი). ... ᲐᲑᲓᲣᲠᲐᲰᲛᲐᲜ ᲐᲚ-ᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

[illegible] ᲐᲑᲓᲣᲠᲐᲰᲛᲐᲜ ᲐᲚ-ᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ [illegible] ᲐᲚᲐᲑᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ

ბაკურიანი. ზამთრის ფანტაზია.
ფოტოტეტიუდი ბ. კამენსკისა.

საახალწლო ნაქვისხის საუკეთესო სცენარები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საახალწლო ნაძვისხისათვის სცენარების შექმნის კონკურსის ჟიურის დადგენილება. პირველი პრემია მიენიჭა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგეს ნ. მეხსს, მეორე — უურნალ „დილის“ რედაქციის პოეზიის განყოფილების გამგეს მწერალ პ. ბოგიანაშვილს, მესამე პრემია — პენსიონერ დ. მაკედონსკის.

პროფკავშირთა კულტურის დაწესებულებებს ურჩიეს საუკეთესო სცენარები გამოიყენონ საახალწლო ზეიმის დღეებში. (საქდესი).

მემორიალი დაიხურა

კვირას მოეწყო ა. ალიოხინის მემორიალის უკანასკნელი ტურის გადადებული პარტიების დამთავრება. ბ. სპასკიმ სძლია ფ. ოლაფსონს, ვ. კორჩნოიმ — დ. ბრონშტეინს და ამით ტურნირი ამოიწურა.

11-11 ქულით პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს ა. კარპოვმა და ლ. შტეინმა. როგორც ახალგაზრდა გროსმაისტერმა ა. კარპოვმა საკავშირო რადიოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, იგი მეტად კმაყოფილია თავისი შედეგით. ლ. შტეინს ესოდენ ტრიუმფისათვის 1967 წლის შემდეგ არ მიუღწევია. ვ. სმისლოვმა, რომელმაც ტ. პეტროსიანთან მოგებისათვის ტურნირის საუკეთესო პარტიისთვის განკუთვნილი სპეციალური ჯილდო დაიმსახურა, 10,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

10-10 ქულა აქვთ ტ. პეტროსიანსა და ვ. ტუკმაკოვს, 9,5-9,5 ქულა — ბ. სპასკისა და მ. ტალს. სპასკი ფინიშზე რამდენადმე გათამამდა, ისე კი მისგან, რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგი იყო მოსალოდნელი. მ. ტალს გადაეცა სპეციალური ჯილდო ალიოხინისებური სტილით თამაშისთვის, რაც მან ვ. ულმანთან მოგებისათვის დაიმსახურა.

„იზვესტიის“ პრიზი — საბჭოთა პოკეისტებს

ბუენოს მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი შაიბიან ჰოკეიში „იზვესტიის“ პრიზზე.

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერობდნენ ფინელები, რომლებსაც 4 ქულა ჰქონდათ. საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ ოყეისტთა აქტიში კი ორ-ორი ქულა იყო. პირველობის საკითხი უნდა გადაწყვეტა უკანასკნელი ტურის მატჩებს, რომლებიც გუშინ შედგა.

ყინულის მოედანზე პირველად ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები გამოვიდნენ. ფინელებს შეხვედრის ფრედ დამთავრებაც კი ხელს უწყობდათ, მაგრამ წარმატება ჩეხოსლოვაკიელებს ხვდათ 1:0. ამის შემდეგ საჭირო იყო ჩვენს ოყეისტებს სულ მცირე 5 შაიბის სხვაობით მოეგოთ მატჩი შვედებთან, მათ კი გაიმარჯვეს 12:1. ამრიგად, „იზვესტიის“ მთავარი პრიზი საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა.

ეი ტურნირის საბოლოო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ	შ.	ქ.
სსრ კავშირი	3	2	0	1	19-7	4
ჩეხოსლოვაკია	3	2	0	1	11-6	4
ფინეთი	3	2	0	1	8-4	4
შვეიცარია	3	0	0	3	3-24	0

რუსეთი — საქართველო

დღეს რესპუბლიკურ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყება ამხანაგური მატჩი ჭადრაკში რსფსრ-სა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

საქართველოს გუნდში ითამაშებენ გროსმაისტერები ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი და სხვები.

რიგის ტურნირის ლაურეატები

რიგაში დამთავრდა ფიგურისტთა დიდი ტურნირი. ასპარეზობამ გამოავლინა უძლიერესები. მალე დაკომპლექტდება ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელსაც მეტად პასუხსაგები შეხვედრები მოელის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობაში.

აი რიგის ტურნირის ლაურეატები: წყვილებში — მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონები ი. როდნინა და ა. ულანოვი, ცეკვებში — მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი, ვაჟთა ერთეულებში — სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ს. ჩიტვერეფხინი, ქალთა ერთეულებში — ე. ალექსანდროვა.

ეს სასარგებლოა

შემნახველი სალაროები მშრომელთა სამსახურში

ახლა საქართველოში მუშაობს 1320 შემნახველი სალარო. ისინი იღებენ მშრომელთა ანაბრებს, ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ სახელმწიფო სამპროცენტიანი შიბაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს, ყიდიან საქართველოს სს რესპუბლიკის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებს, გასცემენ და ანაღდებენ აკრედიტივებს. გარდა ამისა ისინი მოახლეობისაგან იღებენ კომუნალური და სხვა მომსახურების ქირას.

ანაბრები შეიძლება იყოს მოთხოვნამდე, ვადიანი, მომგებიანი, პირობითი და მიმდინარე ანგარიშზე. ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა ერთიან საშემნახველო წიგნაკზე შეტანილი ანაბრები. ამ წიგნაკით მფლანაბრეს უფლება აქვს შეიტანოს ან მიიღოს ანაბარი რესპუბლიკის ყოველ შტატიან შემნახველ სალაროში. ახლა დგას საკითხი, რომ შემოღებულ იქნეს ისეთი წიგნაკი, რომლითაც მეანაბრეს შეეძლება შეიტანოს ან მიიღოს ფული საბჭოთა კავშირის ყოველ შემნახველ სალაროში (სააგენტოს გარდა).

ზემოადნიშნული ანაბრებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია ანაბარი მოთხოვნამდე. მეანაბრეს შეუძლია ყოველგვარი თანხა შეიტანოს და საჭიროების კვალობაზე გამოიტანოს იგი შემნახველი სალაროდან, როცა მოსახერხებელი იქნება მისთვის. ამ ანაბრით მეანაბრე იღებს შემოსავალს წელიწადში ორი პროცენტის ოდენობით. ვადიანი ანაბრით მეანაბრე იღებს შემოსავალს წელიწადში სამი პროცენტის ოდენობით, მაგრამ ვადიანი ანაბრით შეტანილი თანხა ექვს თვეზე ადრე არ უნდა იყოს გამოტანილი, თუ თანხას საშემნახველო წიგნაკიდან გამოიტანენ ექვს თვეზე ადრე, მეანაბრე სამი პროცენტის ნაცვლად იღებს ორ პროცენტ შემოსავალს. ამ ანაბრით დამატებითი ანაბარი არ მიიღება, არ შეიძლება აგრეთვე მისი ნაწილ-ნაწილ გამოტანა.

მომგებიანი ანაბრით მეანაბრე იღებს შემოსავალს მოგების სახით. რაც შეიძლება მეანაბრეს შეხვდეს მომგებიანი ანაბრის ტირაჟის დროს. რომელიც წელიწადში ორჯერ ამართება — აპრილისა და ოქტომბრის პირველ დეკადებში. მეანაბრემ შეიძლება მოიგოს ანაბრის საშუალო ნახევარ, ანაბარი 42.282 ათასი მანეთის და ოყიდეს 6.625 ათასი მანეთის სამპროცენტიანი სესხის ობლიგაციები.

არანაკლებ პოპულარულია რესპუბლიკის ფულისა და ნივთების ლატარია. ამ ლატარიის ბილეთებს ხალხით ყიდულობს მოსახლეობა.

1972 წელს ჩვენი ლატარია უფრო საინტერესო იქნება, რადგან 1971 წელს გათამაშებული მსუბუქი ავტომობილების „მოსკვიჩისა“ და „ზაპოროჟეცის“ გარდა, გათვალისწინებულია გათამაშდეს 12 ავტომობილი „ვოლგა“ და 48 „ჟიგული“, აგრეთვე სხვა ძვირფასი ნივთები.

ყოველწლიურად რესპუბლიკაში იგება 5.580 ათასი მანეთის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები. ფულის შესანახად გზაში, მიწოლიების, შვეიულების დროს, ეკურსიებზე და სხვ. მოსახერხებელი და საიმედოა ვისარგებლოთ შემნახველი სალაროების აკრედიტივებით. 1970 წელს რესპუბლიკის შემნახველმა სალაროებმა გასცეს 42.271 ათასი მანეთი და გაანაღდეს 79.328 ათასი მანეთის აკრედიტივები.

მოსახლეობა უკვე შეეჩვია შემნახველი სალაროების მოსახურებით სარგებლობას. იგი დარწმუნებულია, რომ ფულის შენახვა შემნახველ სალაროში ხელსაყრელია.

დღეს რესპუბლიკის 1160 ათასი მცხოვრები შემნახველი სალაროების მეანაბრეა. ამ ათასეულებს შორის ოცდაათ ათასამდე. მათ სალაროებში შენახული აქვთ 1.220.425 ათასი მანეთი. მარტო 1970 წელს საქართველოს შემნახველ სალაროებში მოსახლეობამ შეიტანა ანაბრები 174 მილიონი მანეთის ოდენობით.

შემნახველი სალაროები დიდ სამსახურს უწევენ მოსახლეობას. ეს იმითაც დასტურდება, რომ 1970 წელს შემნახველმა სალაროებმა შესასრულეს 20 მილიონზე მეტი სხვადასხვა ოპერაცია, რომელთა დიდი რაოდენობა მოდის კომუნალური მომსახურების ქირისა და სხვა გადასახდელების ოპერაციებზე.

მოსახლეობის მომსახურების გასაუმჯობესებლად ყოველწლიურად ახსნება ახალი შემნახველი სალაროები. მათ არმონტებენ, იზრდება ისეთი შემნახველი სალაროების რიცხვი, რომლებიც მუშაობენ გახანგრძლივებული სამუშაო დღისა და ექვსდღიანი, აგრეთვე უწყვეტი სამუშაო კვირის პირობებში.

დღეს არის 76 ასეთი შემნახველი სალარო. 1972 წელს გახანგრძლივებულ სამუშაო დღეზე გადავა კიდევ 17 შემნახველი სალარო.

შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტების სამმართველო და შემნახველი სალაროები დღენიადაგ ამაღლებენ მოსახლეობის მომსახურების დონეს, აუმჯობესებენ მუშაობის კულტურას.

შ. რამიშვილი,
საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი. (საქდესი).

ფ. ი. მენთეშაშვილი — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის შრომის ღროეული ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის კათედრის დოცენტმა ფარნაოზ იაკობის-ძე მენთეშაშვილმა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე. „წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ფ. ი. მენთეშაშვილისათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

სპორტი

ტალინი ასახელებს უძლიერესებს

ტალინში ფინეთში ჰქონდა მეორე საკავშირო ტურნირის ძიებლობა. მონაწილეობა მიიღო 140-მა ათლეტმა. ყველაზე მძიმე წონის კატეგორიაში (93 კილოგრამზე ზევით) წარმატება თბილისელ გ. ონაშვილს ხვდა, რომელმაც ფინალში დაამარცხა კიეველი ვ. საფონინი. 93 კილოგრამამდე წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა ლენინგრადელი ვ. პოკატაევი.

ყველაზე მსუბუქ წონაში (63 კილოგრამამდე) უძლიერესი იყო ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი კიეველი ნ. კაზიცკი. დასკვნითს ასპარეზობაში მან სძლია სარატოველ კ. ბერასიმოვს.

სვერდლოვსკელ ა. კოლპაკოვს 70 კილოგრამამდე წონაში ბადალი არ ჰყავდა. მან დასკვნითი შეხვედრა მოუგო ლენინგრადელ ვ. ნატანელოს.

80 კილოგრამამდე წონაში ყველას აჯობა მოსკოველმა ა. ციუპაჩენკომ. ფინალში მან დაამარცხა კიშინიოველი გამოცდილი ათლეტი ვ. შარკანსკი; მესამე ადგილი გაიყვეს თბილისელმა რ. ხარშილაძემ და ლენინგრადელმა ი. გერასიმოვმა.

ბრწყინვალედ გამოვიდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გ. თანდილოვი. აბსოლუტურ წონითს კატეგორიაში მას აქ ბადალი არ ჰყავდა. ფინალში მან 2 წუთსა და 20 წამში სძლია მოსკოველ ა. კოზაჩენკოვს. მესამე ადგილი გაიყვეს თბილისელებმა ჯ. ნიკარაძემ და ა. მუზაევმა.

რამდენიმე სტრიქონით

● **ბაიმართა** მორიგი მატჩები კალათბურთში ვალთა გუნდებისათვის ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა მოუგო ვილნიუსის „სტატიბას“ 93:59, ლენინგრადის „სპარტაკმა“ — თბილისის „ბურევესტნიკს“ 71:69. ლიდერები არიან ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკის“ გუნდები, რომლებიც დაუმარცხებლად იბრძვიან.

● **საბჭოთა** კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელები ო. მოროზოვი და ა. მეტრეველი კვირის ავსტრალიაში გაემგზავრნენ. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ამ ქვეყნის ტრადიციულ ტურნირებში.

● **ცნობილმა** პროფესიულმა მოკრივემ მუსამედ ალიმ განაცხადა, რომ მისი შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონ ჯო ფრეზერთან შედგება არაუადრეს 1973 წლისა. უახლოეს ხანში კი მას ციურიხში პაპერობა ექნება დასავლეთ გერმანიის მძიმე წონის მოკრივე იურგენ ბლინთან.

● **პალმა-დე** მალიორკაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. გაიმარჯვა არგენტინელმა ო. პანომ და იუგოსლავმა ლ. ლიუბოევიჩმა. 15-დან მათ 11-11 ქულა შეაგროვეს.

● **შვედმა** შტანგისტმა ბ. იუსანსონმა დაიბრუნა მსოფლიო რეკორდმენობა აჭიმვაში ქვემძიმე წონის ძალოსანთა შორის. მან კარლსტადში კვირას გამართულ ასპარეზობაზე აჩვენა შედეგი — 193,5 კილოგრამი. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა აგრეთვე შვედ შტანგისტს ჰ. ბეტენბურგს და უდრიდა 193 კილოგრამს.

ა. მ. ალავიძე

ერეკვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე ალავიძე დაიბადა 1889 წელს ლეჩხუმის მაზრის სოფელ საირმეში, გლეხის ოჯახში. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 1905 წელს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, ასრულებდა სხვადასხვა დავალებას; შემდეგ გახდა წევრი და მონაწილეობას იღებდა ჩაფრების განიარაღებაში.

1906 წელს ალავიძე გადმოდის თბილისში, სადაც ეწევა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას. 1915 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისის რესტორნებისა და კლუბების მოსამსახურეთა პროფკავშირის ჩამოყალიბებაში.

1917 წლის სექტემბერში ა. ალავიძე ხდება ბოლშევიკური პარტიის წევრი. 1918-1920 წლებში აქტიურად მუშაობდა პროფკავშირებში, იყო პროფკავშირების მუშაობა ბოლშევიკური არალეგალური ცენტრის წევრი, პარტიის დავალებით მუშაობდა აგრეთვე წითელი ჯვრის ორგანიზაციაში, კავშირს ამყარებდა პატიმარ კომუნისტებთან და ეხმარებოდა მათ. 1919 წელს პარტიის დავალებით იგი თბილისიდან ჩავიდა ლეჩხუმის მაზრაში, სადაც განაგრძობდა პარტიულ მუშაობას.

1921 წელს ა. ალავიძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. ალავიძე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხაზით; იგი იყო ლეჩხუმის სამაზრო პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი, ცაგერის რაიონის სამრეწველო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ცაგერის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე და სხვ. უკანასკნელ პერიოდში იმყოფებოდა პენსიაზე, იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ა. ალავიძე დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე — წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ძველი ბოლშევიკის, პრინციპული კომუნისტის, შესანიშნავი მოქალაქის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მეგობრებსა და ამხანაგებში.

ამხანაგების ჯგუფი

ქვეყანა მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

ადამიანი, გზა, ავტომობილი

მოძრაობის შემადგენელი სამი კომპონენტიდან (ადამიანი, გზა, ავტომობილი) უბედურების შემთხვევაში პირველ მათგანს — ადამიანს ჰკითხავენ, — რატომ მოხდა, რომ მანქანა, რომელსაც თქვენ მართავდით, დიდი სისწრაფით მიჰქროდა გზის ისეთ მონაკვეთზე, სადაც ეს დაუშვებელი იყო, რატომ თავის დროზე არ შეკეთეთ თქვენი მანქანის მუხრუჭები, რომლის უვარგისობამ ფეხითმოსიარულეზე დაჯახება გამოიწვია, რატომ დროზე არ აღადგინეთ გზა, ან რატომ არ შემოფარგლეთ გზის გადათხრილი ნაწილი გამაფრთხილებელი საშუალებებით...

ამ კითხვებიდან დღეს მხოლოდ ბოლო მათგანზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. რამდენიმე ხნის წინათ ავტოავარიაში დაიღუპა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა იამანიძე. უბედურება 15 ოქტომბერს, საღამოს ხუთ საათზე მოხდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. რამდენიმე დღით ადრე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მე-5 სამშენებლო სამმართველომ თბილისის საქალაქო საბჭოს კეთილმოწყობის სპეციინსპექციის სთხოვა ამ უბანზე ტროსტპორტის სავალი ნაწილის გადათხრის ნებართვა კანალიზაციის მილების ჩასაწყობად. წინადადება პრაქტიკული იყო და სპეციინსპექციამაც განაცა ნებართვა იმ პირობით, თუ მშენებელი ორგანიზაცია (სამუშაოთა მწარმოებელი ბ. ხვანდე) უზრუნველყოფდა ობიექტის დაცვას იმ საშუალებებით, რომლებიც გამორიცხავდნენ ავტოავარიას. ამისათვის კი საჭირო იყო გზის გათხრილი ნაწილის შემოღობვით დაცვა. ამასთან მშენებლებს უნდა დაედგათ შესაბამისი საგზაო ნიშანი და წითელი ნათურა ღამით მოსიარულე მძღოლების გასაფრთხილებლად.

მართალია, მშენებლებმა დასაწყისში გამოიყენეს აღნიშნული საშუალებები, მაგრამ მას შემდეგ, როცა მილები ჩაეწყვს და ორმო გრუნტით ამოავსეს, მოხსნეს დამცავი საშუალებები ისე, რომ არ აღადგინეს აბაფალტი.

სპეციმშენის ტრანსპორტისა და მექანიზაციის სამმართველოს მძიმეწონიანი მანქანა დიღმის მხრიდან საანაპიროს გავლით რუსთაველისაკენ მიემართებოდა. მძღოლმა გ. ბერბიჭაშვილმა შორიდან ვერ შეამჩნია გადათხრილი ასფალტი, მიასლოებულმა კი იფიქრა, სჯობს გვერდი აუარო გზის დაზიანებულ ნაწილსო, და მანქანა მარცხენა მხარეს გადაიყვანა, ისე, რომ ერთბაშად გადაკეტა იგი. ეს ისე მოულოდნელი იყო შემხვედრი მიმართულებით მოძრავი ავტომანქანისათვის, რომელსაც შ. იამანიძე მართავდა, რომ აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა.

მეორე დღეს კი იმ ადგილზე სახელდახელოდ დაკეტს ასფალტი, ანალა ამ გზაზე შეუფერხებლად დაჭრილან მანქანები, თუ კი ერთ დღეში მოთავდა სამუშაო, მანამდე რატომ ჭიანურდებოდა იგი?

ზემოთ მოყვანილი შემთხვევა ერთადერთი როდია. სამწუხაროდ, თბილისის სხვა ქუჩებშიც ხდება მსგავსი ავარიები გზების მიზეზით.

ლენინის რაიონის საგზაო-საექსპლოატაციო კანტორა ღედმეე არ აქცევს ყურადღებას წერონისისა და პიონერის ქუჩების კეთილმოწყობას. მანქანების სავალ ნაწილზე იმდენი ორმოა, რომ გამუუდელი მძღოლი ძნელად თუ გაბედავს აქ. 9 ოქტომბერს სამმარმრუტო ავტობუსის მძღოლმა წერონისის ქუჩის № 129 სახლის წინ ორმოს კი აუარა გვერდი, მაგრამ ფეხით მოსიარული უდანაშაულო ე. ხუციშვილი იმსხვერპლა.

ელიავას ქუჩაზე № 37 სახლის წინ „ინტერნაციონალ“ № 2 სამშენებლო სამმართველომ გახსნა თბოგაყვანილობის ჭა (სამუშაოთა მწარმოებელი ი. ბოჭაძე) ისე, რომ არ გაკეთა შემოდღობა, არ დადგა გამაფრთხილებელი ნიშნები და წითელი ნათურა. 2 ოქტომბერს ღამის 12 საათზე ჭაში ჩავარდა მსუბუქი ავტომანქანა. დაშავდა მასში მსხდომი სამი ადამიანი. მახინჯაურის ქუჩაზე „თბილკანალტრესტის“ სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. კახაძემ უნებართვოდ გათხარა ტროსტპორტის სავალი ნაწილი და მთლიანად ჩაკეტა მოძრაობა, ისე, რომ არც გამაფრთხილებელი ნიშანი დაუყენებია და არც შემოღობვა გაუკეთებია.

მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენების კანტორას 15 ოქტომბრამდე უნდა დაემთავრებინა სამუშაოები ლეპის ქუჩაზე (სამუშაოთა მწარმოებელი გ. მახვილაძე). 20 ოქტომბრისათვის სამუშაო კვლავ დაუმთავრებელი იყო, ღიად, შემოუღობავად იყო მიტოვებული საკმაო სიღრმის თხრილი.

ა. წულუკიძის ქუჩაზე, მესამე მექანიკური ქარხნის წინ სამი თვის განმავლობაში თავღიაა მიწისქვეშა კომუნიკაციის ჭა და არავინ არ ფიქრობს მის შეკეთებაზე. იმავე ქუჩის პირველ შესახვევში, ერთი წლის წინათ თბოგაყვანილობის მილების ჩასაწყობად გათხარეს ქუჩა და აღარ შეუკეთებიათ. მძღოლებს იმდენად უჭირთ ამ უბანზე მოძრაობა, რომ იძულებული არიან მანქანები ტროტუარზე ატარონ.

ქალაქ თბილისის სახელმწიფო ავტონსპექციამ ასობით შეტყობინება და ინფორმაცია დაუგზავნა ორგანიზაციებს, ვისაც აღნიშნულის გამოწორება ევალება. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს. საკითხავია, რას ელოდებიან მშენებელი ორგანიზაციები, რომ დაცვან და დროზე დაამთავრონ დაწყებული საქმე?

ვ. გავაშელი,
თბილისის სახელმწიფო ავტონსპექციის ავტატაციისა და პროპაგანდის ქვეანყოფილების ინსპექტორი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

არჩილ პავლეს-ძე კერესელიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

შეიქმნა საქართველოს სსრ **სახალხო** არტისტის, კომპოზიტორ ა. პ. კერესელიძის დაკრძალვის მომწყობი კომისია.

ა. პ. კერესელიძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ა. პ. კერესელიძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ა. პ. კერესელიძის დაკრძალვის მომწყობი კომისია იუწყება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 21 და 22 დეკემბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში — დგებუაძის ქუჩა, № 1.

გამოსვენება — 23 დეკემბერს დღის 3 საათზე ხელოვნების მუშაკთა სახლიდან. სამოქალაქო პანაშვიდი 13 საათზე.

დაკრძალვა მოხდება დიღმის პანთეონში.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სტუდენტებს მოაგროვებს, რომ 1971-1972 სასწავლო წელს ლაბორატორიულ-საგამოცდო სესიები ჩატარდეს შემდეგი განრიგით:

I ნაკადი. სპეციალობები: აგრონომია, აგრომელიორაცია, აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, მცენარეთა დაცვა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

I კურსებზე 1972 წ. 6 იანვრიდან, II კურსებზე 3 იანვრიდან, III კურსებზე 4 იანვრიდან, მექანიზაციის IV და V კურსებზე 1971 წლის 21 დეკემბრიდან. ყველა დანარჩენ სპეციალობათა IV კურსებზე 1971 წლის 23 დეკემბრიდან და V კურსებზე 1972 წ. 17 თებერვლიდან.

II ნაკადი. სპეციალობები: მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, სატყეო-მეურნეობა, ღვინის და ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია.

I კურსებზე 1972 წ. 24 თებერვლიდან, II კურსებზე 21 თებერვლიდან, III კურსებზე 22 თებერვლიდან, IV კურსებზე და ტექნოლოგიური სპეციალობის V კურსებზე 10 თებერვლიდან. ტექნოლოგიური სპეციალობის VI და სხვა სპეციალობათა V კურსებზე 17 თებერვლიდან.

III ნაკადი. სპეციალობები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, და ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში.

I კურსებზე 1972 წ. 30 მარტიდან, II კურსები 22 მარტიდან, III კურსები 13 მარტიდან, IV კურსები 28 მარტიდან, V კურსები 17 თებერვლიდან.

საკონტროლო და საკურსო შრომების (კონტროლები) სარეცენზიოდ მიღება შეწყდება ერთი თვით ადრე საბაგამოცდო-ლაბორატორიული სესიის დაწყებამდე.

საგამოცდო-ლაბორატორიულ სესიაზე გამოძახების ფურცელი მიეცემათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც დაწესებული დროისათვის ჩათვლილი ექნებათ ყველა საკონტროლო და საკურსო სამუშაო (პროექტები) და არა აქვთ აკადემიური დავალიანება.

სტუდენტებმა, რომლებსაც დაწესებული დროისათვის შეუსრულებიათ საკონტროლო ან საკურსო სამუშაო 1 ან 2 საგანში და თავისი სურვილით გამოცხადდებიან ინსტიტუტში, დაშვებული იქნებიან სესიებზე, თუ ამის უფლებას მისცემს საწარმო (დაწესებულება), სადაც ისინი მუშაობენ.

სესიებზე გამოცხადებული სტუდენტები ვალდებული არიან სესიის დაწყების დღისივე გატარდნენ რეგისტრაციაში. ამისათვის თან უნდა იქონიონ

ა) სტუდენტის ბილეთი, ბ) ჩათვლის წიგნაკი, გ) დამოწმებული გამოძახების ფურცელი (თავისი სურვილით სესიაზე გამოძახებულმა სტუდენტმა — ცნობა იმის შესახებ, რომ მიეცათ მათ დამატებითი შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად სესიაში მონაწილეობისათვის), დ) ცნობა-დასასაბუთება სამუშაო ადგილიდან, ე) შრომის წიგნაკის (კოლმეურნეებმა კოლმეურნის წიგნაკის ან მისი შემცვლელის) საბუთის პირი, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ.

სტუდენტებმა გამოცდებს აბარებენ საგამოცდო-ლაბორატორიულ სესიის პერიოდში საგამოცდო ცხრილით დანიშნულ დღეებში.

IV-VI კურსის სტუდენტებს უფლება აქვთ ჩაებარონ საკურსო გამოცდები სესიათა შორის პერიოდში, რომელიც მიმდინარეობს ა. წ. 1 ოქტომბრიდან და შეწყდება ორი კვირით ადრე მოცემული ნაკადის სესიის დაწყებამდე. სესიათა შორის გამოცდების ჩაბარების უფლების მისაღებად სტუდენტები ცხადდებიან დეკანატში და წარმოადგენენ შრომითი საქმიანობის დამადასტურებელ იმავე შინაარსის საბუთს, როგორც ეს ხდება საგამოცდო-ლაბორატორიულ სესიაზე გამოძახებისას.

რეჟტორატი ურჩევს სტუდენტებს მაქსიმალურად გამოიყენონ ეს უფლება, სულ საწარმოო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს სთხოვს ხელი შეუწყონ მათ ამ საქმეში.

ხანგრძლივი ავადმყოფობის, ხანგრძლივი მივლინების და სწავლაში ხელმიმშლელი სხვა მიზეზების შესახებ სტუდენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დეკანატს (დაზღვეული წერილით). განცხადებას აღნიშნულის თაობაზე უნდა დაერთოს სათანადო საბუთები, დაგვიანებით წარმოდგენილი საბუთები მხედველობაში არ მიიღება.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე: ქიმია (წერა), ფიზიკა (წერა), ბიოლოგია (წერა). 2. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე: მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (წერა).

ყველა შემსვლელი აბარებს გამოცდას (როგორც არამატრიკულირებელ საგანში) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სიქტორზე, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სიქტორზე.

ოქრს ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლის ტრსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაკროფილებელ საგანში, სახელდობრ:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე — ბიოლოგიაში (წერა). 2. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

იმ შემთხვევაში, თუ მედალისანი ან წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტი გამოცდას ჩაბარებს მაპროფილებელ საგანში „ფრიადზე“, ის თავისუფლდება შემდგომი გამოცდებისაგან. ხოლო თუ მიიღო „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელი“, გამოცდას აბარებს ყველა საგანში საერთო წესით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად, ინსტიტუტში ჩარიცხვა კი — 1971-1972 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

განცხადება აბიტურიენტმა უნდა შეიტანოს ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). 2. დასასაბუთება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სკოლის ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დასასაბუთებას სასწავლო ნაწილების ხელმძღვანელობა ისაგან. 3. ამონაწერი შრომის